განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

4 – 5 დეკემბერი. 2020 წელი.

22.02.2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალმცოდნეობა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 2011 წლის 11 ნოემბრის N240 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ჟვანია, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დემეტრე ეგნატაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ნინო ლიპარტია, სადაზღვეო კომპანია

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	არდი,
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია წიკლაური, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია სხვადასხვა ელემენტების გაერთიანებით. მასში წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნები. გარდა სამართლის მიმართულებით კონცენტრირებული კომპონენტებისა, მასში გათვალისწინებულია არჩევითი არაიურიდიული, ზოგად/ტრანსფერული კომპონენტები. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაიღრმაოს ცოდნა მისთვის სასურველი მიმართულებით. დასკვნით ეტაპზე პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს. პროგრამამ დროთა განმავლობაში განიცადა ცვლილებები.
პროგრამა შედგება შემდეგი მოდულებისგან:

1. არაიურიდიული მოდულის სავალდებულო კომპონენტები - 13 კრედიტი;
2. ინგისური ენა 25 კრედიტი;
3. არჩევითი ან/და თავისუფალი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი;
4. სამართლის ზოგადი პროფილის სავალდებულო საბაზისო კომპონენტები - 28 კრედიტი;
5. საჯარო სამართლის პროფილის სავალდებულო საბაზისო კომპონენტები - 34 კრედიტი;
6. კერძო სამართლის პროფილის სავალდებულო საბაზისო კომპონენტები - 45 კრედიტი;
7. სისხლის სამართლის პროფილის სავალდებულო საბაზისო კომპონენტები - 35 კრედიტი;
8. სამართლის არჩევითი მიმართულების სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები - 55 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი შედგა 2020 წლის 4 – 5 დეკემბერს ონლაინ პლატფორმა zoom - ის მეშვეობით. ექსპერტები შეხვდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრაციულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის თვიშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს და

კურსდამთავრებულებს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ვიდეოზარის მეშვეობით დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 1.1 და 1.2 პუნქტები შეფასდა, როგორც შესაბამისი კანონმდებლობით დაწესებულ სტანდარტებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, რადგან 2.1 შეესაბამება სტანდარტებს; 2.2 მეტწილად შეესაბამება; 2.3 ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს; 2.4 და 2.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მესამე ნაწილი შესაბამისობაშია სტანდარტებთან, რადგან 3.1 პუნქტი შეესაბამება მოთხოვნებს. მეოთხე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან, რადგან, 4.1 და 4.2 ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტებს; 4.3 და 4.4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტი მეტწილად პასუხობს მოთხოვნებს, კერძოდ, 5.1 ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს; 5.2 მეტწილად მოდის შესაბამისობაში, ხოლო 5.3 შეესაბამება სტანდარტებს.

- **რეკომენდაციები**

1. ზოგადი ინგლისური ენის კურსები მთლიანად ან ნაწილობრივ გადავიდეს თავისულაფლი კრდეტით გათავლისწინებულ ნაწილში, რათა ყველა სტუდეტს სავალდებულოდ მოუხდეს იურიდიული ინგლისურის გავლა.
2. იურიდიულ პრაქტიკას მიენიჭოს სავალდებულო კომპონენის სტატუსი.
3. კონსტიტუციური სამართალწარმოება დაემატოს, როგორც სავალდებულო კომპონენტი.
4. აუცილებელია, ,,ადვოკატი კერძო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში", ,,პროფესიული ეთიკა", ,,ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში" და სხვა საგნებში აღმოიფხვრას სასწავლო საკითხების დუბლირება.
5. საგანს - ,,სასამართლოს მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში" განისაზღვროს პრერეკვიზიტი.
6. აუცილებელია სასწავლო კურსის ფარგლებში შესული იქნეს განსახილველ თემასთან მიმართებით საკითხის შედარებით სამართლებრივი ანალიზი. სალექციო კურსის ფარგლებში გაძლიერდეს ქართული, ევროპული, ანგლო-ამეკური და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება.
7. ,,კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის" და სხვა საგნების სილაბუსებიდან ამოღებულ უნდა იქნას, ჩანაწერი, რომელიც სტუდენტს ავალდებულებს დაესწროს სალექციო მეცადინეობების 50% - ს.
8. აუცილებელია, რომ სილაბუსში მითითებული კონკრეტული აქტივობა შეფასდეს და ეს შეფასება დეტალურად უნდა აისახოს სილაბუსში, რათა სტუდენტს ქონდეს მოლოდინი თუ რა აქტივობებში შეძლებს შესაბამისი ქულების მოგორვებას.
9. სილაბუსებში შეფასების კომპონენტი არ უნდა იყოს იდენტური, აუცილებებლია შეფასების ნაწილშიც იგრძნობოდეს ლექტორის ხედვა და აკადემიური თავისუფლება, აუცილებელია კონკრეტულ საგანს ქონდეს მისთვის შესაბამისი შეფასების ნაწილი.
10. აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებით, რათა შესაძლებელი გახდეს წარმოდგენილი პროგრამის განხორციელება და შენარჩუნებული იქნეს მისი მდგრადობა;

11. აუცილებელია სალექციო და სასემინარო საათები გადანაწილდეს პროგრამისა და სილაბუსებში გათვალისწინებული პირებზე;
12. აუცილებელია, სალექციოს კურსის განხორციელება უშუალოდ იმ პირის მიერ განხორციელდეს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, სამეცნიერო კვლევა და პრაქტიკული გამოცდილება.
13. აუცილებელია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართვა სამეცნიერო და კვლევით საქმიანობასა და პროფესიული განვითარების პროექტებში. მოხდეს პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის უზრუნველყოფა; ამ მიზნით სავალდებულოა უნივერსიტეტის მიერ მოხდეს ამ საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა და წახალისება, ხოლო შემდგომში ყოველწლიურად მოხდეს ინფორმაციის შეფასება და ანალიზი;
14. გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, რომელიც სავალდებულოდ ხელშეწყობილი უნდა იქნეს უსდ-ს მიერ, განსაკუთრებით ევროპულ უნივესიტეტებთან; ამ მიზნით უნდა გაიზარდოს ფინანსური მხარდაჭერა;
15. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდიში აუცილებელია არსებობდეს სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და მუდმივად ხორციელდებოდეს მატერიალური სახით არსებული ლიტერატურის ელექტრონული ფორმით გადაქცევა, რათა გაიზარდოს მათი ხელმისაწვდომობა;
16. მოხდეს პერსონალის ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ;
17. პროგრამის განხორციელების მოქნილობის გაზრდისათვის და ავტონომიურობის გაზრდისთვის აუცილებელია მოხდეს პროგრამის ბიუჯეტის დეცენტრალიზება.
18. პროგრამის განხორციელებაში კვალიფიციური კადრებისა და დარგის სპეციალისტების მოწვევისა და შენარჩენულების მიზნით აუცილებელია გადაიხედოს მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება.
19. გაიზარდოს სამეცნიერო და კვლევითი, ასევე საგანამანათლებლო და პროფესიულ პროექტებში (საერთაშორისო და ეროვნული იმიტირებულ პროცესები, სიმპოზიუმები, საჯარო ლექციები) პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფა.
20. გაცდენლი სალექციოს საათების შემდგომ სავალდებულოა მოხდეს მისი აღდგენა სტუდენტებისათვის მისაღებ დროსა და პირობებში;
21. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია მოხდეს ლექციებზე დასწრება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა სალექციო საათების ჩატარება ხორციელდება ასისტენტის მიერ;
22. მუდმივად ხდებოდეს პერსონალისა პროფესიული, სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო აქტივობის კონტროლი და ანალიზი;
23. გაძლიერდეს პროგრამის გარე შეფასება დარგის ექსპერტის მიერ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. იურიდიული ინგლისურის კურსის სწავლება განხორციელდეს ორი სემესტრის განმავლობაში.

2. სასურველია სილაბუსებიდან ამოღებულიქნეს ძველი სახელმძღვანელოები, რათა სტუდენტი არ დაიბნეს, რაც გაართულებს სწავლის პროცესს.

3. სასურველია სილაბუსებში ნორმატიული მასალა ცალკე, გამოყოფილად მიეთითოს.

4. სასურველია პროგრამას დაემატოს არჩევითი საგნები, რაც სტუდენტს მისცემს არჩევანის მრავალფეროვნებას და შესაძლებლობას უფრო მეტად შეძლოს სასურველი საკითხების უფრო დეტალურად შესწავლა.

5. პერსონალის შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის კრიტერიუმების სრულყოფის მიზნით გაგრძელდეს მუშაობა. ამავე დროს უნდა პერსონალის შერჩევა განხორციელდეს ობიექტური და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურების შემდგომ.

6. აუცილებელია, სალექციო საათების განაწილებისას გათვალისწინებულ იქნას გონივრული დატვირთვის ჩარჩოები.

7. პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მიზნით და ენობრივი კომპეტენციის დაძლევის მიზნით უნდა გაძლიერდეს პერსონალის გადამზადების პროცესი. ამავე დროს გადამზადების კურსი სასურველია მოიცავდეს დარგობრივ ინგლისურს.

8. გაძლიერდეს პერსონალის სათანადო ინფორმირება სამეცნიერო ბაზების არსებობისა და მათი გამოყენების წესის შესახებ. ასევე, უსდ-ს მიერ მოხდეს სამეცნიერო ბაზების გამოყენების რაოდენობის კონტროლი; უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის წახალისება მაღალ რეინტინგული გამოცემებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების უზრუნველყოფა;

9. რეკომენდირებულია, უსდ-ს მიერ მოხდეს დამატებითი სამეცნიერო ბაზების დამატება (მაგ, Heinonlain);

10. გაძლიერდეს პორტალის გამოყენების სერვისი, რათა განსაკუთრებით საგამოცდო პერიოდში არ შეფერხდეს წვდომა და გამოყენება;

11. აუცილებელია სტუდენტებს მიეწოდოს განახლებადი ინფორმაცია სამეცნიერო ბაზების არსებობის შესახებ და განემარტოთ მათი გამოყენების ინსტრუქცია;

12. გაიზარდოს და ხელმისაწვდომი გახდეს უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტთა და პერსონალის აქტივობის მხარდაჭერა;

13. პროგრამის განვითარებასა და კულიკულიმების შედგენის პროცესში გაძლიერდეს სტუდენტთა ჩართულობა.

14. აუცილებელია გაძლიერდეს და მუდმივ ზედამხედველობას ექვემდებარებოდეს პერსონალის მიერ სალექციო და სასემინარო საათების ჩატარება;

15. გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში;

16. მოხდეს საერთიფიკაციო გამოცდის შედეგების ანალიზი და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

აღსანიშნავია, უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდი - portal.bsu.edu.ge, რომელიც აღჭურვილია სტუდენტისათვის საჭირო ყველა ფუნქციით, როგორიცაა მიმოწერა, საგნებზე რეგისტრაცია, გამოცდების განრიგის გაცნობა, გამოცდის დაწერა და სხვა. პორტალი პასუხობს თანამედროვე სტუდენტური ელექტრონული

პორტალის ყველა მოთხოვნას და გამოირჩევა სხვა უნივერსიტეტში არსებული ანალოგებისგან მრავალფუნქციურობით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამის დანიშნულებაა სახელისუფლებო და თვითმმართველობის სისტემაში შემავალი და კერძო სტრუქტურისთვის იურისტის კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა იურიდიული პროფესიების თავისებურებების შესახებ; მსოფლიო სამართლებრივი სისტემებისა და მასში ქართულის სამართლის ისტორიიული წყაროების ადგილისა და როლის შესახებ; სამართლის არსის, პრინციპებისა და ინსტიტუტების შესახებ. პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა საერთაშორისო, კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის მიმართულებებით. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს გამოუმუშაოს მატერიალური და პროცესუალური ნორმების დაცვით სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ანალიზის, მოქმედების და დასაბუთების უნარი. ასევე, პროგრამის მიზანია, სტუდენტი აღჭურვოს შესაძლებლობით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს როგორც პროფესიულ, ისე არაპროფესიულ საზოგადოებასთან.ეალური, მიღწევადი და გაზომვადია როგორც ცოდნა-გაცნობიერების, ისე კომპეტენციის და ღირებულებით ნაწილში. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს - პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მისასალმებელია განვითარების სამსახურის

მკვლევარების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზი, დამსაქმებელთა გამკითხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.❖ სამართლის საბაკალავრო პროგრამა/გეგმა; ❖ მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ❖ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ❖ შრომის ბაზრის ცალკეული ასპექტები/ანალიზი; ❖ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სამართლის საბაკალავრო პროგრამაში. პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია სამ ძირითად ნაწილად. პირველი ნაწილი მოიცავს ცოდნა - გაცნობიერებას და ის წარმოდგენილია სამი შედეგით. რაც შეეხება მეორე ნაწილს - უნარებს, ის თავის თავში აერთიანებს ოთხ შედეგს. ხოლო მესამე ნაწილივ - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, ეს უკანასკნელი მოიცავს ორ სწავლის შედეგს. სწავლის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხიმგებლობას და ავტონომიურობას. პროგრამაში მონაწილე პერსონალის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტურია და შეესაბამება საბოლოოდ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც აღწერილია როგორც შეფასების პროცესი, ისე ყველა მეთოდი, ინსტრუმენტი და სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შეფასება, ასევე სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები.

სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ დარგის სპეციალისტები, აკადემიური წრის წარმომადგენლები, პრაქტიკოსი სპეციალისტები, დასაქმებულები, კურსდამთავრებულები, პროფილური ორგანიზაციები.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. პროგრამის პირდაპირი შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: დავალებები, ტესტები,

გამოცდები და აქტიური სასწავლო პრაქტიკა. არაპირდაპირი შეფასებისთვის კი გამოიყენბე ისეთი მეთოდები, როგორიცაა: კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, გარე შეფასებები, დამსაქმებელთა და სტუდენტთა გამოკითხვები. პროგრამის აკადემიური/ მოწვეული პერსონალს ეცნობება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების და შედეგების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში.❖ სამართლის საბაკალავრო პროგრამა/გეგმა; ❖ გამოკითხვის შედეგები; ❖ აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ❖ შრომის ბაზრის ცალკეული ასპექტები/ანალიზი; ❖ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პიროვნებების პროგრამაში ჩართვას. როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული, ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ იდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, აგრეთვე ეგზავნება შესაბამის სამსახურებს და ქვეყნდება საჯაროდ. უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ თვითშეფასების დოკუმენტში ჩამოთვლილია სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს, რომელებიც ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამა განსაზღვრევს როგორც შიდა, ისე გარე მობილობის წესს, რომელიც სრულად მოდის კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან შესაბამისობაში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი შესაძლებლობას უშვებს შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. პროგრამა შეესაბამება ბაზრის მთხოვნებს და ასახავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასათან. ასევე პროგრამაში წარმოდგენილი სწავლა - სწვლების მეთოდები შეესაბამება სტანდარტებს. მათი გამოყენებით კონკრეტული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება სამუშაო პროცესის წარმართვა. პროგრამა და შესაბამისად კონკრეტული საგნის სილაბუსები ითვალისწინებს შემდეგ სწავლა - სწავლების მეთოდებს: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, სასწავლო პრაქტიკა, საშინაო დავალება/რეფერატი, ესე, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს პროგრამით განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 240 კრედიტი. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან. პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კრედიტსაც. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავისუფალი კრედიტის ფარგლებში აირჩიოს კონკრეტული, არადარგობრივი დისციპლინა, რომლის აღიარებაც მოხდება მაქსიმუმ 10კრედიტის ფარგლებში.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი. წლის განმავლობაში სტუდენტი საშუალოდ აგროვებს 60 კრედიტს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვის არსებობასაც, ამ შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 185 კრედიტს, ხოლო არჩევითი კომპონენტი შეადგენს 55 კრედიტს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებულია არაიურიდიული პროფლის სავალდებულო კომპონენტი, რაც თავის თავში მოიცავს ინგლისური ენის კურსებსაც, მაქსიმუმ 25 კრედიტი. ინგლისური ენის შესწავლა შესაძლებელია დაიწყოს ,,ინგლისური ენა Beginner -ით. პროგრამა ითვალისწინებს ასევე შემდეგ სასწავლო კურსებს ინგლისურ ენაში: ინგლისური A1.1; ინგლისური A1.2; ინგლისური A2.1; ინგლისური A2.2; ინგლისური B1.1; ინგლისური B2.1; ინგლისური B2.1.1; ინგლისური B2.1.2; ინგლისური B2.2.1; ინგლისური B2.2.2 და ,, ინგლისურ ენას იურისტებისთვის. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია, სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხოს სტუდენტი, რომელიც ელემენტარულ დონეზე არ ფლობს ინგლისურს და დაიწყოს ენის შესწავლა პირველიდონიდან, რადგან მაქსიმუმ ინგლისური ენისთვის გამოყოფილია 25 კრედიტი, მას შესაძლებლობა ექნება შეისწავლოს მაქსიმუმ ,, ინგლისური A2.2“, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ვერ გაივლის დარგობრივი ინგილური

ენის კურს, რაც მეტად მნიშვნელოვანია იურისტისთვის. უნივერსიტეტმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს მოცემულობა და რამოდენიმე მიმართულებით განახორციელოს ცვლილება პროგრამაში. მნიშვნელოვანია პროგრამა ჩამოყალიბდეს იმდაგვარად, რომ ყველა სტუდენტს სავალდებულოდ მოუწიოს დარგობრიიინგლისურის შესწავლა, უფრო მეტიც, სასურველი იქნება თუ დარგობრივი ინგლისურის შესწავლა მოხდება ორი სემესტრის განმავლობაში, როგორც სავალდებულო კომპონენტი. ინგლისურიენის ლექტორტან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სულ რამდენჯერმე მოხდა იურიდიული ინგლისურის კურსის გახსნა და ძალიან მცირე რაოდენობა სტუდენტებისა იყვნენ ჩართული, ლექტორიც ადასტურებს, რომ სტუდენტების უმეტესობა ვერ ახერხებს მივიდეს ბოლო ეტაპამდე.

პროგრამიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ იგი მოიცავს კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომი, რომელით არჩევითადაა წარმოდგენილი პროგრამაში)- 10 კრედიტი; პრაქტიკულ კომპონენტს (სასწავლო პრაქტიკა/კლინიკური სწავლება) - 10 კრედიტი; ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ უმჯობესია პრაქტიკული კომპონენტი გახდეს სავალდებულო, რადგან თანამედროვე სწავლება ითვალისწინებს არა მარტო თეორიულიცოდნის მიღებას, არამედ მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების აუცილებლობასაც. რაც გარანტირებული იქნება მისი პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად შემოტანით.

რეკომენდირებულია საჯარო სამართლის სავალდებულო საგნების ნაწილს დაემატოს საკონსტიტუციო სამართალწარმოება, რადგან დარგობრივი სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები მოიცავს ამ ნაწილსაც.

პროგრამაში პრერეკვიზიტების სისტემა ლოგიკურად არის აგებული, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას დაძლიოს შემოთავაზებული სავალდებულო საგნები.

პროგრამაში უხვად არის წარმოდგენილი არჩევითი საგნები, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს მისი ინტერესების შესაბამისად დაგეგმოს სემესტრი. მიუხედავად მისი არასავალდებულო ხასიათისა, ასევე ხაზი უნდა გაესვას პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობას პროგრამაში. სტუდენტს ეძლევა

შესაძლებლობა პრაქტიკა გაიაროს უნივერსიტეტის სამართლის კლინიკაში, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს და ასევე უნივერსიტეტი სტუდენტს თავაზობს ორგანიზაციების ჩამონათვალს, სადაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაიაროს პრაქტიკა, რაც რეალურ გამოცდილებას აძლევს სტუდენტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი ○ ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ○ ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
რეკომენდაციები: ზოგადი ინგლისური ენის კურსები მთლიანად ან ნაწილობრივ გადავიდეს თავისულაფლი კრდეტით გათავლისწინებულ ნაწილში, რათა ყველა სტუდეტს სავალდებულოდ მოუხდეს იურიდიული ინგლისურის გავლა. იურიდიულ პრაქტიკას მიენიჭოს სავალდებულო კომპონენის სტატუსი. კონსტიტუციური სამართალწარმოება დაემატოს, როგორც სავალდებულო კომპონენტი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის იურიდიული ინგლისურის კურსის სწავლება განხორციელდეს ორი სემესტრის განმავლობაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსები. პროგრამის მიხედვით, არჩევით ნაწილში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს მისი ინტერესების მიხედვით შესაბამისი დისციპლინა, ამას ხელს უწყობს პროგრამაში წარმოდგენილი არჩევითი საგნების მრავალფეროვნება. პროგრამაში გათვალისწინებულ საგნებს (სავალდებულო, არჩევითი) მინიჭებული აქვს კრედიტები, გვხვდება 3, 4, 5 და 6 კრედიტიანი საგნები, უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტები შეძლებისდაგვარად გადანაწილებულია კონკრეტული საგნის მოცულობიდან გამომდინარე, რაც მისასალმებელია და შესაბამისობაში მოდის რეგულაციებთან.

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები ნაწილობრივ უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

პროგრამით გათვალისწინებულია საგანი - ,,ადვოკატი კერძო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში“, რომელსაც უძღვება ასისტენტი და მოწვეული ლექტორი; საგანი მოიცავს ადვოკატის შესახებ კანონს, პროფესიული ეთიკისა და ადვოკატის სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეებთან დაკავშირებულ საკითხებს. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ცალკე საგნად ისწავლება ,,პროფესიული ეთიკა“, სადაც ადვოკატის ეთიკის საკითხებია მოცემული. შესაბამისად, ხდება აღნიშნული საკითხების დუბლირება პროფესიული ეთიკის საგანის საკითხებთან. საკითხების დუბლირება ხდება ასევე საგანს - ,,ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში“. ამასთან, მთელი რიგი საკითხები მე-10, მე-11, მე-12 მე-13 და მე-14 კვირის მასალები სრულად დუბლირებულია სამოქალაქო საპროცესო საგანის ძირითად საკითხებთან. სასურველია ადვოკატთა ასოციაციის

სტრუქტურისა და ფუნქციების გარდა, კურსის ფარგლებში ისწავლებოდეს სარჩელის, შესაგებლის, საჩივრის, კერძო საჩივრის წერის და სხდომაზე გამოსვლის ტექნიკა. სილაბუსში მითითებულია, რომ საგანს წინაპირობა არ გააჩნია, ამ საგნის სწავლა სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგნის შესწავლის წინაპირობის გარეშე რეკომენდირებული არ არის. ამავე დროს აღნიშნული დისციპლინის შინაარსი ვერ გადის სილაბუსით განსაზღვრულ შედეგზე.

,,ვალდებულებითი სამართალის" სილაბუსიდან სასურველია ამოიღებული იქნეს 2001 წლის კომენტარი; სილაბუსში არ ჩანს მოიცავს თუ არა სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა საკითხთან დაკავშირებით.

,,ინტელექტურალური სამართალი" - ს სიალბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია დ. ძამუკაშვილის ,,საავტორი სამართალი", გამოცემული - 2014 წელს და ასევე დ. ძამუკაშვილის 2012 წელს გამოცემული ,,საავტორო სამართალი", სილაბუსში არ ჩანს გამოყენების კუთხით არსებითი განსხვავება ამ ორ სახელმძღვანელოს შორის. თუ ერთი არის მეორეს განვრცობილი გამოცემა, უმჯობესია გამოყენებული იქნას ბოლო რედაქცია. ხოლო განსხვავებული საკითხების არსებობის შემთხვევაში სილაბუსში ჩაშლილად იქნეს მითითებული აღნიშნული საკითხები. ამავე დროს სილაბუსში მითითებულია დ. ძამუკაშვილის მიერ სხვადასხვა პერიოდში გამოცემული ყველა სახელმძღვანელო (მაგ: 2000, 2002 და შემდგომი წლები). ამავე დროს კურსის ფარგლებში არ არის გამოყენებული საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც აუცილებელია. სილაბუსში არ ჩანს, მოიცავს თუ არა სასწავლო კურსი სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვას კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

,,კანონისმიერი ვალდებულებითი სამართალის" სილაბუსიდან ამოსაღებია კომენტარის ძველი რედაქცია. ასევე სილაბუსში არ ჩანს მოიცავს თუ არა სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვას კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

,,სამოქალაქო საპროცესი სამართლის" სილაბუსში სასურველია ძირითადი სახელმძღვანელოდ მიეთითოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2020 წლის გრედაქცია.

ყურადღება უნდა გამახვილდეს ,,შრომის სამართალის" სილაბუსზე, სასურველია ძირითადი ლიტერატურიაში არ იყოს ჩამოთვლილი ნორმატიული აქტები, ასევე ძირითადი ლიტერატურად, გარდა დ. ძამუკაშვილის სახელმძღვანელოსა, აუცილებელია მიეთითოს საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო. ასევე სილაბუსში აღნიშნულია, რომ სტუდენტი შეძლებს შრომის სამართლის სფეროში

გადაწყვეტილებებისა და პრაქტიკის მოძიებას, თუმცა სილაბუსში არ არის მითითებული არც ერთი გადაწყვეილება, რომელსაც კურსის ხელმძღანელი განიხილავს სასწავლო კურსის ფარგლებში. კურსის ფარგლბეში არ ისწავლება ევროპული დირექტივები, რომელიც ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აპროქსიმაციის შესაბამისად, უნდა იქნეს იმპლემენტირებული. შეკითხვის დროს ვერ იქნა მიღებული პასუხი, რამდენად იყენებს ლექტორნი ECJ- სასამართლო პრაქტიკას. შეკითხვაზე ლექტორმა თავი შეიკავა. კურსთამდავრებთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ კურსის ფარგლბეში თითქმის არ ხდება სასამართლოს პრეცენდენტული გადაწყვეტილებების მიმოხილვა.

სასწავლო კურსს ,,სასამართლოს მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში“ სილაბუსის შესაბამისად გავლის წინაპირობა არ გააჩნია, იგივე მოცემულობაა ,,სანოტარო სამართლის“, ,,შრომის სამართლის“, ,,ინტელექტუალური საკუთრების სამართლის“ სილაბუსებში აღნიშნული საგნების სწავლა დაუშვებელია პრერეკვიზიტების გარეშე. მაგალითისთვის, სტუდენტს თუ არა აქვს გავლილი სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ის სრულყოფილად ვერ შეძლებს ,,სასამართლოს მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში“ საგნის შესწავლას. ასევე, რამდენიმე ლექცია ეხება გერმანულ და ანგლო-ამერიკული სამართლის ნაწილს, ძირითადი ლიტერატურაც მითითებული ინგლისურ და გერმანულ ენაზე. გასაუბრების შედეგად დადგინდა სტუდენტთა საკმაოდ დაბალი ენის კომპენტეცია. შესაბამისად, აუცილებელია შესაბამისი მასალის თარგნა ან ქართულენოვალი ლიტერატურის მიწოდება სტუდენტებისათვის. ამასთან, სასურველია გამოყენებული იქნეს სასამართლო პრაქტიკა.

სასურველია, კერძო სამართლის ბლოკს დაემატოს შემდეგი არჩევითი შემდეგი საგნები: საპროცესო უნარ-ჩვევები, საპროცესო დოკუმენტაციის შედგენა, გადახდისუუნარობის სამართალი, ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა, ფასიანი ქაღალდების სამართალი, საინვესტიციო სამართალი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები (ზოგადი კურსი);

ინტერვიუს და სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო კურსების განმავლობაში მწირია დასავლური პრაქტიკისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის შესწავლა. აღსანიშნავია, რომ შრომის სამართლის სასწავლო კურსის ფარლგებში არ ხდება ევროპული დირექტივებისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი.

ენობრივი კომპენტეციის ამაღლების მიზნით, უსდ-ს მიერ განხორციელდა შესაბამისი სასწავლო კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა თანადაფინანსებით პერსონალისათვის

ინგლისური ენის გაძლიერებას. თუმცა აღნიშნული დღევანდელი მდგომარეობით შეჩერებულია. ამავე დროს აღნიშნული არ მოიცავს პროფესიული ინგლისურის კომპონენტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

აუცილებელია, ,,ადვოკატი კერძო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში", ,,პროფესიული ეთიკა", ,,ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში" და სხვა საგნებში აღმოიფხვრას სასწავლო საკითხების დუბლირება.

საგანს - ,,სასამართლოს მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში" განისაზღვროს პრერეკვიზიტი.

აუცილებელია სასწავლო კურსის ფარგლებში შესული იქნეს განსახილველ თემასთან მიმართებით საკითხის შედარებით სამართლებრივი ანალიზი. სალექციო კურსის ფარგლებში გაძლიერდეს ქართული, ევროპული, ანგლო-ამეკური და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სილაბუსებიდან ამოღებულიქნეს ძველი სახელმძღვანელოები, რათა სტუდენტი არ დაიბნეს, რაც გაართულებს სწავლის პროცესს.

სასურველია სილაბუსებში ნორმატიული მასალა ცალკე, გამოყოფილად მიეთითოს.

სასურველია პროგრამას დაემატოს არჩევითი საგნები, რაც სტუდენტს მისცემს არჩევანის მრავალფეროვნებას და შესაძლებლობას უფრო მეტად შეძლოს სასურველი საკითხების უფრო დეტალურად შესწავლა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს. პრაქტიკული კომპონენტის მიხედვით, უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა სტუდენტი გააგზავნოს პარტნიორ ორგანიზაციაში ან პრაქტიკა გაატაროს კლინიკის ფარგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ მემორანდუმები არ ითვალისწინებს კონკრეტული ორგანიზაციის მიერ სავარაუდოდ მისაღები სტუდენტების რაოდენობას, რაც აუცილებლად საჭიროებს გამოსწორებას, რადგან დარგობრივი მახასიათელი განსაზღვრავს ამ ნაწილის სავალდებულოობას. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემარანდუმები სხვადასხვა დაწესებულებებთან, ამ მემორანდუმების საფუძველზე ხდება სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკაზე. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოიყენონ ის თეორიული ცოდნა, რაც მათ მიიღეს სწავლის პროცესში და ასევე გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკის გავლა შესაძლებელია სამართლის კლინიკის ფარგლებში. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მემორანდუმების აბსოლუტური უმრავლესობა გაფორმებულია სახელმწიფო დაწესებულებებთან, ამიტომ კერძო კომპანიებში სტუდენტების წარგზავნა არ

ხორციელდება, რაც გასაუბრებებში დაადასტურეს ფაკულტეტის წარმომადგენლებმაც. ფაქტია, რომ კერძო კომპანიებში ტპაქტიკის გავლა განსხვავებულ გამოცდილებას მისცემდა სტუდენტს, ასევე დასაქმების თვალსაზრისითაც დამატებითი შესაძლებლობების გახსნას მოემსახურებოდა. კლინიკა მუშაობს გამართულად აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს მიიღოს პრაქტიკული გამოცდილება. კლინიკის საქმიანობა ორიენტირებულია დაინტერესებულ პირებს გაუწიოს იურიდიული დახმარება.

ასევე უნივერსიტეტი ყურადღებას უთმობს კვლევით საქმიანობას და საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს საბაკალავრო პროგრამის დონეზე აძლევს შესაძლებლობას გადადგან პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ბოლო სასწავლო სემესტრში აირჩიოს საბაკალავრო ნაწრომი.

უნივერსიტეტი ორგანიზებას უკეთებს იმიტირებულ პროცესებს და საჯარო ლექციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქტივობების ხარისხი კონტროლდება, ხარისხის სამსახური ახდენს მონიტორინგს, ასევე აქტივობებთან დაკავშირებით ხდება სტუდენტებისა და იმ ლექტორების გამოკითხვა, რომლებიც ჩართულნი არიან პროცესში.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მათი ინტერესების სფეროს შესაბამისად იყვნენ ჩართულნი უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ყველა აქტივობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია უნივერისტეტმა გააძლიეროს თანამშრომლობა კერძო დაწესებულებებთან, რათა სტუდრენტებს პრაქტიკის გავლის დამატებითი შესაძლებლობები მიეცეთ.

მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერ სავარაუდოს პრაქტიკის გასავლელად მისაღების სტუდენტების რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ისეთ სწავლება - სწავლის მეთოდებს, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, სასწავლო პრაქტიკა, საშინაო დავალება/რეფერატი, ესე, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. ამ მეთოდების შერჩევა უმეტესწილად, კონკრეტულ სასწავლო კურსთან მიმართებაში ხდება საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, რეგულაციების დაცვის საფუძველზე, ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩამოყალიბებული სწავლა - სწავლების მეთოდების შერჩევის მთავარი მიზანია ჩართოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობებში. პროგრამით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ნაწილობრივ ორიენტირებულია შეძლებისდაგვარად აქცენტი გააკეთოს პრაქტიკულ აქტივობებზე და ცდილობს სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა კონკურენტუნარიანი გახდეს შრომით ბაზარზე.

სწავლების შედეგების მისაღწევად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას ხდება შესაბამისი მეთოდების შერჩევა.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლება - სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოდის

ბაკალავრიატის საფეხურთან, ასევე თითოეული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს და ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევისკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის თანახმად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას. საგანამანთლებლო პროგრამით შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილებულია და განსაზღვრულია.

ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

სილაბუსების შესწავლის საფუძველზე დგინდება რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, რაც გამოსწორებას საჭიროებს, რადგან შეიძლება გახდეს შედეგზე ვერ გასვლის საფუძველი. კერძოდ, მთელ რიგ სილაბუსებში იმპერატიულად მითითებულია, რომ „სტუდენტი ვალდებულია დაესწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება“. აღნიშნული ჩანაწერის შესაბამისად, თუ სტუდენტი ვერ ესწრება სასემინარო აქტივობებს, მაგრამ დამოუკიდებლად მუშაობს, ასევე მაღალ შეფასებას იღებს შუალედურ გამოცდასა და სხვა აქტივობებში, არ ექნება შესაძლებლობა გავიდეს ფინალურ გამოცდაზე, რაც რეკომენდირებული არ არის. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ ,,კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის“ სიალბუსი.

ასევე, პროგრამით გათვალისწინებული საგნების ნაწილში აბსულუტურად იდენტურია შეფასების კრიტეუმები. რაც აჩენს განცდას, რომ იგი მორგებული არ არის საგნის

საჭიროებასა და შინაარს. ამასთან, შეფასების მეთოდებში მითითებულია ,,პრეზენტაცია", თუმცა გეგმაში პრეზენტაციის ჩატარება განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, ბუნდოვანია, როგორ და როდის უნდა მოხდეს პრეზენტაციის წარმოდგენა სტუდენტის მხრიდან. (მაგ. სანოტარო სამართლი, იტნელექტუალური სამართალი, შრომის სამართალი). აქედან გამომდინარე, სავალდებულოა შეფასების კრიტერიუმები და სწავლის შედეგები გადაიხედოს და უშუალოდ მოერგოს საგნის შინაარსა და თემატიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

- ,,კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის" და სხვა საგნების სილაბუსებიდან ამოღებულ უნდა იქნას, ჩანაწერი, რომელიც სტუდენტს ავალდებულებს დაესწროს სალექციო მეცადინეობების 50% - ს.
- აუცილებელია, რომ სილაბუსში მითითებული კონკრეტული აქტივობა შეფასდეს და ეს შეფასება დეტალურად უნდა აისახოს სილაბუსში, რათა სტუდენტს ქონდეს მოლოდინი თუ რა აქტივობებში შეძლებს შესაბამისი ქულების მოგორვებას.
- სილაბუსებში შეფასების კომპონენტი არ უნდა იყოს იდენტური, აუცილებებლია შეფასების ნაწილშიც იგრძნობოდეს ლექტორის ხედვა და აკადემიური თავისუფლება, აუცილებელია კონკრეტულ საგანს ქონდეს მისთვის შესაბამისი შეფასების ნაწილი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - საბაკალავრო პროგრამა) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც მათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. მნიშვნელოვანია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერაში მონაწილეობს უნივერსიტეტის არაერთი თანამშრომელი.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან (www.bsu.edu.ge) მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ. ვებ-გვერდზე სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია, როგორც საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, ისე შიდასამართლებრივი აქტები, როგორიცაა: უნივერსიტეტის მისია, უნივერსიტეტის წესდება,

სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმა, ასევე სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტი.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების (მაგალითად, დაგეგმილი კონფერენციების, შიდასაუნივერსიტეტო და სხვადასხვა ფონდების მიერ დაწესებული/გამოცხადებული სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების და სხვ.) შესახებ ინფორმაცია, უნივერსიტეტის ვებ-გვერდის გარდა მიიღონ, ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელისაგან, ასევე სამეცნიერო კვლევების სამსახურისაგან.

უნივერსიტეტის განმარტებით, კონსულტაციების და დახმარების მიღება სტუდენტს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია ფაკულტეტის დეკანატში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებში.

კომუნიკაციის საშუალებებად უნივერსიტეტში ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმები, როგორებიცაა: Facebook, twitter, youtube. უნივერსიტეტი საკონსულტაციო სერვისებში აქტიურად იყენებს სოციალური ქსელებში შექმნილ სპეციალურ ღია და დახურული ჯგუფებს, გვერდებს. ამავდროულად კონსულტაციის საშუალებებად ასევე გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები და ზარები.

სტუდენტთა კონსულტირებისა და აუცილებელი მხარდაჭერის პროცესში, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ჭრილში, ჩართულნი არიან უნივერსიტეტის შემდეგი თანამშრომლები და სტრუქტურული რგოლები: იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა დეკანი და ფაკულტეტის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო ჯგუფის კურატორი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, ასევე სამეცნიერო კვლევების სამსახური.

სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისების მიმართულებით უნდა გამოიყოს შესაბამისი მიმართულების კურატორის ფუნქცია. შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიურისაბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის #137-ე დადგენილების, თანახმად სასწავლო პროცესის და სტუდენტთა აღმზრდელობითი საქმიანობის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზების მიზნით ყოველი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების კონკრეტული სასწავლო წლის სტუდენტთა ჯგუფს ენიშნება კურატორი შესაბამისი სასწავლო დეპარტამენტის პროფესორთა შემადგენლობიდან. ამავე დადგენილებითაა განსაზღვრული კურატორის ვალდებულებები. ეს ვალდებულებებია:

- შეადგინოს სამუშაო გეგმა;
- გაეცნოს ჯგუფის სტუდენტებს, რსუ-ში წარმოებულ მათ პირად საქმეებსა და სოციალურ მდგომარეობას;
- განახორციელოს ლექცია - სემინარებზე საკურატორო ჯგუფის სტუდენტთა დასწრების მონიტორინგი და სისტემატიური გაცდენის შემთხვევაში ხელი შეუწყოს მიზეზის გამოვლენასა და აღმოფხვრას.
- ორგანიზება გაუწიოს სტუდენტის მიერ აკადემიური რეგისტრაციის გავლას, საჭიროებისას დაეხმაროს მათ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში. ასევე კონტროლი გაუწიოს სტუდენტის მიერ საშუალედო შემოწმების დროულად შესრულებას;
- სისტემატურად გააცნოს ჯგუფის სტუდენტებს რსუ-ში მოქმედი სამართლებრივი აქტები, მიაწოდოს მათ ინფორმაცია საუნივერსიტეტო ცხოვრების ძირითად მოვლენებზე;
- ხელი შეუწყოს ჯგუფის სტუდენტებს მათი არასასწავლო საქმიანობის (დასვენება, ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები, მუსიკალური საღამოების) სათანადო ორგანიზებაში;
- ყოველ სემესტრში ერთხელ მოაწყოს ჯგუფის სტუდენტთა ერთობლივი შეხვედრა ფაკულტეტის დეკანთან, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, საგნების პროფესორ-მასწავლებელებთან;
- თავისი მუშაობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს ინფორმაცია შესაბამის სასწავლო დეპარტამენტს, ყოველი სემესტრის ბოლოს კი - შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს.

სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისების მხარდაჭერის ჭრილში უნდა

აღინიშნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურიც. უნივერსიტეტის წარმოადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის #05 გადაწყვეტილებით, რეორგანიზაციის გზით შეიქმნა, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური და დამტკიცდა მისი დებულება (შემდგომში - დებულება). აღნიშნული „დებულების“ მე-2 მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული სამსახურის ფუქნციებია:

- უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურება;
- საუნივერსიტეტო აქტივობების განხორციელებისათვის სტუდენტთა მხარდაჭერა, ამ მიზნით სხვადასხვა სოციალური პროექტების მომზადება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული საქმიანობის პოპულარიზაცია, ორგანიზება და განხორციელებისათვის ხელშეწყობა (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური/სამეცნიერო/შემეცნებითი ხასიათის და საქველმოქმედო სახის შემოქმედებითი სტუდენტური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- საუნივერსიტეტო სპორტული გუნდების, მუსიკალური ანსამბლებისა და შემოქმედებითი ჯგუფების შექმნის შესახებ სტუდენტთა ინიციატივების წარმოდგენა, მათი რეალიზაციისათვის ხელშეწყობა და საქმიანობის კოორდინაცია;
- საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების/უნივერსიადების ორგანიზება, ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, უნივერსიტეტის სახელით რეგიონალურ და რესპუბლიკურ უნივერსიადებში და სტუდენტურ დღეებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის სტუდენტების ჰარმონიული განვითარებისა და სახელოვნებო სივრცეში მათი მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება და უნივერსიტეტის სტუდენტების შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნვა, მათი ნიჭისა და სურვილის შესაბამისად;
- საგანმანთლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების,

პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაცნობა;

- სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარჩვევების განვითარებაში, მათი ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა მათი სასწავლო პროცესთან დაახლოებისა და სამომავლოდ, საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- სტუდენტების დახმარება საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში;
- შრომის ბაზრისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან (სახელმწიფო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან) თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათი ინტეგრირების მიზნით და შესაბამისი წინადადებების უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენა;
- საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

ამრიგად, ზემოაღნიშნული სამსახური ერთ-ერთი მთავარი რგოლია სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისების, მრავალფეროვანი სტუდენტური ღონისძიებების განხორციელებისა და კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით.

აღსანიშნავია საკონსულტაციო სფეროში ელექტრონული საშუალებების როლიც. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდი - portal.bsu.edu.ge, რომლიდანაც სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ჩაბარებული და რეგისტრირებული (მიმდინარე) საგნების შესახებ, მიღებული შეფასებების შესახებ. აქვეა განთავსებული სტუდენტის მონაცემები. სტუდენტის ელექტრონულ გვერდს აქვს მიმოწერის ფუნქცია ადმინისტრაციასთან და საგნის ლექტორთან. მისასალმებელია, რომ სტუდენტური პორტალი აღჭურვილია

სტუდენტისათვის საჭირო ყველა ფუნქციით, როგორიცაა მიმოწერა, საგნებზე რეგისტრაცია, გამოცდების განრიგის გაცნობა, გამოცდის დაწერა და სხვა.

უნივერსიტეტში, სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალიც. განათლების სფეროში მოქმედი რეგულაციებით, პერსონალი ვალდებულია განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება. ვიზიტის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნული ვალდებულება პრაქტიკაშიც ხორციელდება. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებელი კონსულტაცია პირადი შეხვედრების გზით მიიღონ აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან. გარდა ამისა, პერსონალი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას, სტუდენტური პორტალის სოციალური ქსელისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. ამ მიზნით, უნივერსიტეტის შესაბამის დეპარტამენტში დგება პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციების განრიგი, რომლის განთავსება ხდება საჯაროდ, დეპარტამენტის და ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით პირდაპირ არაა განსაზღვრული ზემოაღნიშნულ პირთა ვალდებულება მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა საკონსულტაციო პროცესში. თუმცა, ხელშეკრულებით განსაზღვრულია ვალდებულება იმისა, რომ პერსონალი გაეცნოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს და შეასრულოს ისინი, რაც იმას ადასტურებს რომ საკონსულტაციო სერვისები რეალურად ხორციელდება.

მისასალმებელია უნივერსიტეტში, სამეცნიერო კვლე¬ვების სამსახურის ფუნქციონირება, რომელიც ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს, როგორებიცაა: კონფერენციები, სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი პროექტები და სხვ.

რაც შეეხება, საერთაშორისო პროექტების, ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების, საზაფხულო სკო¬ლების, კონფერენციებისა და მობილობის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას, ფაკულ¬ტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის

ხელმძღვანელთან ერთად, ამ საქმიანობას უძღვება სტრა¬ტეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივიერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი და თანამშრომელი რეალურად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განმარტებით, კომუნიკაციის აქტიურ საშუალებად გამოიყენება, სტუდენტური პორტალი, სოციალური ქსელი „ფეისბუკი“ და ელექტრონული ფოსტა. ამასთან ერთად, კომუნიკაციის გავრცელებული ფორმებია სატელეფონო და პირადი კონსულტაციები.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის როლი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის საკითხშიც. უნივერსიტეტში დასაქმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები სტუდენტს შეუძლია მიიღოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურში, როგორც უკვე აღინიშნა ამ სამსახურის ფუნქციების ჩამოთვლისას.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს არაერთ პარტნიორ დამსაქმებელ ორგანიზაციასთან.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის რამდენიმე პარტნიორ დამსაქმებელს. ინტერვიუს ესწრებოდნენ: აჭარის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს დაადასტურა ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. საბჭოს უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი და საბჭო აქტიურად მონაწილეობს ისეთ პროცესებში როგორიცაა, კონფერენციები, სემინარები, ტრეინინგები და სასწავლო პრაქტიკის ნაწილი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სასამართლო საბაკალავრო პროგრამის მე-3-4 კურსის სტუდენტები გადიან სტაჟირებას სასამართლოში, რომელზეც კონკურსის წესით ინიშნებიან.

სასამართლოს წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა პროგრამის სტუდენტების ცოდნა და უნარები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის (შემდგომში - პროკურატურა) წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები პროკურატურაში გადიან სტაჟირებას და ზოგჯერს საქმდებიან კიდეც. პროკურატურა თანამშრომლობს უნივერსიტეტთან პროგრამის განვითარების მიმართულებითაც, ასევე უნივერსიტეტს სთავაზობს სხვადასხვა შინაარსის ტრეინინგებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წარმომადგენელმა კი აღნიშნა, რომ სასამართლო რამდენიმე წელია თანამშრომლობს უნივერსიტეტთან. მხარეებს გაფორმებული აქვთ მემორნადუმი. სასამართლო საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს ისარგებლოს მათი ბიბლიოთეკითა და ელექტრონული საკვლევი ბაზებით. ამჟამად მოქმედი მემორანდუმით, სემესტრში 15 სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაიაროს პრაქტიკა სასამართლოში. სასამართლო რეკომენდაციას უწევს სამეცნიერო კვლევების უცხო ენაზე განხორციელებას.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წამრომადგენელმა (შემდგომში - სააგენტო) აღნიშნა, რომ სააგენტო 2015 წლიდან თანამშრომლობს უნივერსიტეტთან. ამავე წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან სტაჟირებისა და პრაქტიკის მიმართულებით. სააგენტოს თანამშრომელთა 90 პროცენტი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდმომადგენელის განმარტებით, სამინისტრო უნივერსიტეტთან თანამშრომლობს კონფერენციების და სხვა საჯარო ღონისძიებების მიმართულებით. სამინისტრო განსაკუთრებით დაინტერესებულია სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით კომპეტენტური კადრების მომზადებით. შესაბამისად მათ უნივერსიტეტს შესთავაზეს ამ სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩასმა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელის განმარტებით, მათი ორგანიზაცია უნივერსიტეტთან მრავალი წელია თანამშრომლობს. ასოციაციაში

ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები გადიან როგორც სასწავლო პრაქტიკას, ისე სტაჟირებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა კი განმარტა, რომ მთავრობა უნივერსიტეტთან თანამშრომლობს როგორც პრაქტიკის ისე სტაჟირების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის როლი კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით თვალსაჩინოა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის დებულება;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სამსახურეობრივი დებულებები;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №5 გადაწყვეტილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების“ დამტკიცების შესახებ;
- სტუდენტური პორტალი;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №15 გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახურის დებულების შესახებ;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 15 თებერვლის №02 გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის №05 გადაწყვეტილება იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №137, ბსუ-ს ფაკულტეტების სასწავლო დეპარტამენტებში კურატორის საქმიანობის ორგანიზების შესახებ;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

აღსანიშნავია, უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდი - portal.bsu.edu.ge, რომელიც აღჭურვილია სტუდენტისათვის საჭირო ყველა ფუნქციით, როგორიცაა მიმოწერა, საგნებზე რეგისტრაცია, გამოცდების განრიგის გაცნობა, გამოცდის დაწერა და სხვა. პორტალი პასუხობს თანამედროვე სტუდენტური ელექტრონული პორტალის ყველა მოთხოვნას და გამოირჩევა სხვა უნივერსიტეტში არსებული ანალოგებისგან მრავალფუნქციურობით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის 30 წლიანი არსებობის ისტორია გააჩნია. უსდ წარმომადგენელების მიერ აღნიშნული იქნა, რომ რეგიონის განვითარებისათვის ბსუ-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ხოლო იურიდიული ფაკულტეტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწესებულებისათვის. პროგრამის განხორციელებაში დღემდე ჩართულია ამ ფაკულტეტის დაფუძნების პროცესში ჩართული პირები. ისინი დღემდე ახორციელებენ სასწავლო პროცესს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 51 პირი, საიდანაც 14 აკადემიური პერსონალია, ხოლო 37 - მოწვეული პირი. აკადემიური პერსონალის განაწილება შემდეგნაირია: პროფესორი 2 (1-სისხლის სამართალი, 1- სამართლის მეთოდები); ასოცირებული - 5 (1 კერძო სამართალი, 1- საჯარო სამართალი, 1- საერთაშორისო სამართალი, 2 - სისხლის სამართალი), ასისტენტ-პროფესორი - 0, ასისტენტი - 7 (2 - კერძო სამართლი, 1-საჯარო სამართალი). ამათ გარდა სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია 37 მოწვეული პერსონალი, მათ შორის ისეთები, რომლებიც სასწავლო პროცესს უძღვებიან 20 წელზე მეტი ვადის განმავლობაში. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი მასალებით დადგინდა, რომ უსდ-ს მიერ სასწავლო პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი, რომელიც შერჩეულია კონკურსის წესით.

უსდ -ს მიე 2017 ლი 27 დეკემბერს დამტკიცებული ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად, „უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობებია: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ. ასისტენტი ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ფარგლებში, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით“. ამავე დოკუმენტის შესაბამისად, პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე: 6 (ექვსი) წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით აირჩევა დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს. ასისტენტის თანამდებობაზე 3 წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორანტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა შემდეგი: უსდ-ში არ არის არჩეული პროფესორი კერძო და საჯარო მიმართულებაში. შესაბამისად, ამ მიმართულების ძირითადი ტვირთი გადასულია ასოცირებულ პროფესორებზე, რომელიც ორივე მიმართულებაში მხოლოდ ერთი პირია. ამავე დროს უსდ-ში არ არის არჩეული ასისტენტ-პროფესორი, ხოლო კერძო სამართლის მიმართულებით არჩეული მხოლოდ 2 ასისტენტი.

უსდ-ს წარმომადგენლების მიერ გაცხადებული იქნა, რომ პერსონალის სიმცირის გამო აუცილებელია არჩეული იქნეს შესაბამისი პირები, თუმცა პანდემიის პირობებში ვერ მოხდა კონკურსის ორგანიზება. ამავე დროს მათი მითითებით ვაკანტური ადგილები შეიძლება ჩათვლილიყო შესაბამის რესურსად. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის მარტიდან სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს, ამის მიუხედავად ვერ მოხდა პერსონალის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადება და შესაბამისი კადრების შერჩევა, რომელიც პროგრამის განხორციელების პროცესს უფრო მგრადს გახდიდა.

პროგრამის ხელმძღვანელის მითითებით, რეგიონში საკმაოდ მწირია საკადრო რესურსი, ვინაიდან, კადრების დიდი ნაწილი თავმოყრილია დედაქალაქში. შესაბამისად, კადრების შერჩევა ხდება კონკურსში მონაწილე არც ისე მრავალრიცხოვანი პირებიდან. აღნიშნულის მიუხედავად, მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კონკურსში მონაწილეობას საკმაოდ ხშირად იღებენ, თუმცა შერჩევის პროცედურა და წესი არ არის

შესაბამისად გამჭირვალე. რამდენიმე პირს უარი ეთქვა აკად. პერსონალად აყვანაზე მისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მიუხედავად. შესაბამისად, აუცილებელია პერსონალის შერჩევის მიზნით მოხდეს ღია კონკურსის გამჭირვალედ და მიუკერძოებლად წარმოება.

II. უსდ-ს მიერ დამტკიცებული პერსონალისა შერჩევის წესის შესაბამისად, ასისტენტად აარიჩევა მხოლოდ დოქტორანტი, რომელიც უძღვება მხოლოდ სამუშაო ჯგუფების მუშაობას და არ აქვს უფლებამოსილება სალექციო კურსის გაძღოლის. გასაუბრების პროცესში ასისტენტმა დაადასტურა, რომ იგი წლების განმავლობაში უძღვება სალექციო კურს (მაგ. სანივთო სამართალში), ხოლო კერძო სამართლის მიმართულების ასისტენმა მიუთითა, რომ იგი უძღვება მხოლოდ სასემინარო კურსებს. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ცხრილებითა და გასაურების შედეგად დადასტურდა, რომ ამ უკანასკნელის ასისტენტის მიერმიერ მოწოდებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. იგი ასისტენტის სტატუსის მიუხედავად, ხელმძღვანელობს სალექციო კურსებს. (მათ შორის ისეთ საგნებს, როგორიცაა სანოტარო სამართალი, კანონისმიერი ვალდებულებითი სამართალი და აშ.). მიუხედავად იმისა, რომ სანოტარო, ინტელექტუალურ და კანონისმიერ სამართლაში არ უდასტურდება სამეცნიერო საქმიანობის, კვლევის ან სხვა ტიპის აქტივობის განხორციელების გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროგრამის კერძო სამართლის მიმართულების მთელი რიგი საგნების ხელმძღვანელად მითითებულია უსდ-ს ასოცირებული პროფესორი, რომელიც საბაკალავრო საფეხურზე უძღვება შემდეგ საგნებს (ვალდებულებითი, სახელშეკრულებო, კანონისმიერი ვალდებულებითი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, სამეწარმეო სამართალი, ევროპის სამართალი, საერთაშორისო კერძო სამართალი). ამავე დროს იგი ჩართულია სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში და ხელმძღვანელობს არაერთ სალექციო კურსს და სამაგისტრო თემას. პროგრამის სავალდებულო საგნების უდიდესი ნაწილის ერთი პირის მიერ წაყვანა არაგონივრულად დიდ სირთულეს წარმოადგენს. შესაბამისად, ხდება ასისტენტების მიერ სალექციო კურსის გაძღოლა, რომელიც დადგენილი წესის დარღვევაა. შესაბამისად, ამგვარი მოცულობით დატვირთვის განაწილება მხოლოდ ერთ ასოცირებულ პროფესორზე პროგრამის განხორციელებას აფერხებს და არამდგრადს ხდის. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აუცილებია აკადემიური პერსონალის რაოდენობრივი ზრდა, განსაკუთრებით კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებით.

III. პროგრამის განმახორციელებელი სუბიექტები უსდ-ში შეირჩევა კონკურსის წესით, ხოლო მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება შრომითი ხელშეკრულების

საფუძველზე. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ პროგრამაშინ სხვადასხვა საგანს უძღვება ისეთი პირი, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვლევა ან სამეცნიერო შრომა. მაგ. ინტელექტუალური სამართალი - არც ერთ მათგანს მასალებით ინტელექტუალურ სამართალის სფეროში მუშაობის გამოცდილება, კვლევა, ნაშრომის ან სხვაგვარი ჩართულობა არ უდასტურდება. ასევე, შრომის სამართალი, სანოტარო სამართალი, საოჯახო მემკვიდრეობითი სამართალი და აშ. შესაბამისად, აუცილებელია სალექციო კურსის გაძღოლის მიზნით შერჩეული იქნეს პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სფეროში მუშაობის კვალიფიკაცია, სამეცნიერო შრომა ან სამეცნიერო კვლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი; • საგანამათლებლო პროგრამა • პერსონალის სამსახურში აყვანის წესი; • პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი. • პირადი საქმეები; • გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები: •• აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებით, რათა შესაძლებელი გახდეს წარმოდგენილი პროგრამის განხორციელება და შენარჩუნებული იქნეს მისი მდგრადობა; • აუცილებელია სალექციო და სასემინარო საათები გადანაწილდეს პროგრამისა და სილაბუსებში გათვალისწინებული პირებზე; • აუცილებელია, სალექციოს კურსის განხორციელება უშუალოდ იმ პირის მიერ განხორციელდეს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, სამეცნიერო კვლევა და პრაქტიკული გამოცდილება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პერსონალის შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის კრიტერიუმების სრულყოფის მიზნით გაგრძელდეს მუშაობა. ამავე დროს უნდა პერსონალის შერჩევა განხორციელდეს ობიექტური და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურების შემდგომ.

აუცილებელია, სალექციო საათების განაწილებისას გათვალისწინებულ იქნას გონივრული დატვირთვის ჩარჩოები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ 2017 წლის 29 ივნისს დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომლის შესაბამისად მუდმივად ხორციელდება პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასება. აღნიშნული რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. ამავე დროს უსდ-ს მიერ წახალისებულია პერსონალის მიერ სამეცნიერო და სხვაგვარ აქტივობებში ჩართულობა.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ახორციელებს სასწავლო პროცესს, თუმცა მათ ჩართულობა სამეცნიერო, კვლევით და სხვაგვარ პროფესიული განვითარების პროცესში

დაბალია. პროგრამაში ჩართულ პერსონალის ნაწილს, მიუხედავად მათი ხანგრძლივი პედაგოგიური საქმიანობისა, არ გააჩნია არც ერთი შრომა, სტატია, კვლევა, მონოგრაფია და სხვა ნაშრომი. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ს მიერ დამტკიცებულია პერსონალის სამეცნიერო აქტივობის აღწერისა და შეფასების პროცედურა, რჩება განცდა, რომ აღნიშნული ჯეროვნად ვერ ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის ჩართვა მინიმალურია პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროექტებში. აკადემიურ პერსონალის დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა გაიხსენა ბოლო 5 წლის განმავლობაში, პროფესიულ პროექტებსა თუ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული მათ სალექციო კურსთან. ამასთან, ვერ მოხერხდა პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უსდ-ს ფინანსურად მხარდაჭერილი პროექტის დასახელება.

გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილ პირად საქმეებში არსებობს არაერთი CV - ი, რომლის მიხედვითაც პროგრამაში ჩართულ პირს არ უდასტურდება შესაბამის კონფერენციაში, ტრეინინგში, საკვალიფიკაციო კურსსა თუ სხვა საგანამანათლებლო აქტივობაში მონაწილეობის მიღება, რომელსაც უშუალოდ კავშირი ჰქონდა იმ კურსთან, რომლებიც უძღვება პროგრამის ფარგლებში. ამავე დროს პერსონალის (ასისტენტები) მიერ ვერ დასახელდა ისეთ საგანამათლებლო პროექტში მონაწილეობა, რომელიც წახალისეული, დაფინანსებული, მითითებული ან მოთხოვნილი ყოფილიყო უსდ-ს მიერ, პროგრამის განმახორციელებელი სუბიექტის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. შესაბამისად, აუცილებელია პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარება და სამეცნიერო მუშაობა შეფასებული იქნეს უსდ-ს მიერ.

II. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ უსდ-ს მხარდაჭერით არაერთხელ განხორციელდა პერსონალის გაცლით პროგრამაში მონაწილეობა, უკრაინასა და ყაზახეთში. აღნიშნული სრულად იქნა დაფინანსებული უსდ-ს მიერ, თუმცა პერსონალის რამდენიმე წევრი საკუთარი რესურსითა და სხვადასხვა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მუდმივად ახორციელებს პროფესიული განვითარებაზე ზრუნვას.

IV. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების პირად საქმეებში მითითებულია არაერთი კონფერენცია თუ სტატია, რომელიც ინგლისურ ენაზეა შესრულებული. ამავე დროს მათ მიერ შემუშავებულ სილაბუსში მითითებულია არაერთი ინგლისურენოვანი დამხმარე ლიტერატურა. თუმცა ამავე პირადი საქმეებში აღნიშნულია, რომ ისინი უცხო ენას ფლობენ ლექსიკონის დახმარებით ან საერთოდ არ ფლობენ შესაბამის უცხო ენას. მიგვაჩნია, რომ უცხო ენის არ ცოდნა წარმოადგენს პერსონალის მიმართ დამაბრკოლებელ

გარემოებას, გაეცნონ თანამედროვე და ევროპულ ლიტერატურას და მიგნებებს, რომლებიც საშუალებას მისცემდა სტუდენტებისათვის გაეცნოთ და შეესწავლოთ ქართული, ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლის შედარებითი ანალიზი. აღსანიშნავია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ თითქმის არ ხდება უსდ-ში არსებული სამეცნიერო ბაზების გამოყენება, რომლის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა და მოგვაწოდა ცხრილის ბაზების გამოყენების სტატისტიკის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პირადი საქმეები; o გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: o აუცილებელია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართვა სამეცნიერო და კვლევით საქმიანობასა და პროფესიული განვითარების პროექტებში. მოხდეს პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის უზრუნველყოფა; ამ მიზნით სავალდებულოა უნივერსიტეტის მიერ მოხდეს ამ საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა და წახალისება, ხოლო შემდგომში ყოველწლიურად მოხდეს ინფორმაციის შეფასება და ანალიზი; o გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, რომელიც სავალდებულოდ ხელშეწყობილი უნდა იქნეს უსდ-ს მიერ, განსაკუთრებით ევროპულ უნივესიტეტებთან; ამ მიზნით უნდა გაიზარდოს ფინანსური მხარდაჭერა;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მიზნით და ენობრივი კომპეტენციის დაძლევის მიზნით უნდა გაძლიერდეს პერსონალის გადამზადების პროცესი. ამავე დროს გადამზადების კურსი სასურველია მოიცავდეს დარგობრივ ინგლისურს. გაძლიერდეს პერსონალის სათანადო ინფორმირება სამეცნიერო ბაზების არსებობისა და მათი გამოყენების წესის შესახებ. ასევე, უსდ-ს მიერ მოხდეს სამეცნიერო ბაზების გამოყენების რაოდენობის კონტროლი; უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის წახალისება მაღალ რეინტინგული გამოცემებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების პროცესში აქტიურად არის ჩართული პორტალი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტებისა და პერსონალის კომუნიკაცია. ამავე დროს პორტალის მეშვეოებით ხდება საგამოცდო პროცესის წარმართვა. გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ ონაილ-სწავლების პროცესში პორტალი გადატვირულობის დროს, საკმაოდ გართულებული იყო პორტალზე შეღწევა და პროცესის წარმართვა.

უსდ-ს გააჩნია ბიბლიოთეკა, რომელიც დათვალიერება მოხდა ელექტრონული ჩართვის მეშვეობით. წიგნადი ფონდი მუდმივად განახლებადია. გაზიარებული ინფორმაციის შედეგად დაადგინდა, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში უსდ-სათვის გადაცემული სასწავლო მასალა მყისიერად აიტვირთება პროგრამაში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკის წარმომადგენელების მიერ მოძიებული იქნა შემთხვევითი შერჩევით ექსპერტის მიერ დასახელებული წიგნები, თუმცა მათი ნაწილი ვერ იქნა მოძიებული ბიბლიოთეკაში, ვერც ელექტრონული და ვერც მატერიალური სახით.

ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს რამდენიმე სახის სამეცნიერო ბაზა (მაგ EBSCO), თუმცა თავად ბიბლიოთეკის წარმომადგენლის მიერ აღნიშნული იქნა, რომ ბაზებით გამოყენების რიცხვის ძალიან მცირეა. ექსპერტის მიერ მოთხოვნის შემდგომ მოწოდებული იქნა ბაზებზე წვდომის შესახებ შესაბამისი ცხრილი, რომელიც მეშვეობითაც დადგინდა, რომ ბაზის გამოყენების რაოდენობა თითქმის ნულს უტოლდება. ამასთან, სტუდენტებთან დასმული შეკითხვით დადგინდა, რომ სამეცნიერო ბაზების არსებობისა და მათი გამოყენების შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია არ გააჩნდათ.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში ხშირია სალექციო და სასემინარო საათეების გაცდება. შესაბამისად, უნდა მოხდეს უსდ-ს მიერ მათზე კონტროლი და სასურველია ტექნიკური საშუალების გამოყენებით მოხდეს პერსონალის მოძრაობის აღრიცხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ ტექნიკური ბაზა;
- სამეცნიერო ბაზებზე წვდომის აღრიცხვის დოკუმენტი;
- წიგნადი ფონდის საძიებო სისტემის დათვალიერების შედეგი;

რეკომენდაციები:

1. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდიში აუცილებელია არსებობდეს სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და მუდმივად ხორციელდებოდეს მატერიალური სახით არსებული ლიტერატურის ელექტრონული ფორმით გადაქცევა, რათა გაიზარდოს მათი ხელმისაწვდომობა;

2. მოხდეს პერსონალის ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რეკომენდირებულია, უსდ-ს მიერ მოხდეს დამატებითი სამეცნიერო ბაზების დამატება (მაგ, Heinonlain);

გაძლიერდეს პორტალის გამოყენების სერვისი, რათა განსაკუთრებით საგამოცდო პერიოდში არ შეფერხდეს წვდომა და გამოყენება;

აუცილებელია სტუდენტებს მიეწოდოს განახლებადი ინფორმაცია სამეცნიერო ბაზების არსებობის შესახებ და განემარტოთ მათი გამოყენების ინსტრუქცია;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილია 2020 წლის 03 ივნისის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული პროგრამის ბიუჯეტი. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, პროგრამაზე ირიცხება 100 სტუდენტი, ხოლო სწავლის საფასური შეადგენს 2250 ლარს. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ცენტრალიზებულია და პროგრამის ბიუჯეტირება ხორციელდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, პროგრამის საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი ნაკლებად მოქნილია პერსონალის ან სტუდენტების მხარდაჭერის პროცესში.

წარმოდგენილი ბიუჯეტის დოკუმენტში ასახულია, მხოლოდ პერსონალისათვის გასახდელი შრომით ანაზღაურების შესახებ. დოკუმენტის შესაბამისად, მოწვეული პირისათვის შრომითი ანაზღაურების ოდენობა შეადგენს 15 ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. საშემოსავლო

და საპენსიო გადასახდელის დაქვითვთის შემდგომ მისაღები თანხა არაგონივრულად დაბალი ოდენობისაა. შესაძლებელია სწორედ აღნიშნული იყო დარგის პროფესიონალების ნაკლები დაინტერესების საფუძველი. უსდ-ს წარმომადგენლების მითითებით, კადრების სიმწირის და მაღალ-პროფესიონალის პერსონალის დეფიციტის მუდმივად არსებობს რეგიონალურ უნივერსიტეტებში. ბათუმის უნივერსიტეტის მაგალითზე შესაძლებელია კადრების მუდმივი ზრდა რეგიონში არსებული რესურსის გამოყენებით. თუმცა მაღალ-კვალიფიციური კადრების მოზიდვა და პროგრამაში ჩართვა და მათი მუდმივი შენარჩუნება აღნიშნული საფასურის გადახდის სანაცვლოდ ნაკლებად მოსალოდნელია. შესაბამისად, აუცილებელია მოხდეს მოწვეული პერსონალის სახელფასო ანაზღაურების გადახედვა. უსდ-ს წარმომადგენელების მითითებით, ფაკულტეტზე გამოყოფილი ბიუჯეტის შესაბამისად, 10 000 ლარი გამოყოფილი პერსონალის სამეცნიერო, პროფესიული და პრაქტიკული აქტივობისათვის. აღნიშნული თანხის ოდენობა შეუსაბამოდ მცირეა და აუცილებელია მისი გადახედვა; სტუდენტების მიერ მითითებული იქნა, რომ მათი მოთხოვნით არაერთხელ იქნა მოთხოვნილი საჯარო ლექციებისა და სხვა პროექტებში ჩართულობის მხარდაჭერა. თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით უსდ-ს წარმომადგენელებისაგან მხარდაჭერა არ იყო. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ უსდ-ს მიერ წარმოდგენილია ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის №01-11/51 ბრძანება სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციის და გასაწევი ხარჯების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, საგანამანათლებლო, კულტურული და სპორტული პროექტის მაქსიმალური ღირებულება სტუდენტური პროექტის მაქსიმალური ღირებულება შეიძლება იყო 5000 ლარი, ხოლო სამეცნიერო პროექტი -3000 ლარი. ამ დოკუმენტის არსებობის მიუხედავად, თითქმის არ ხორციელდება სტუდენტთა მხარდაჭერა საგანამანათლებლო და სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის კუთხით. კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გასაუბრების დროს ერთხმად აღინიშნა საჯარო ლექციების ნაკლებებიოს არსებობა, ამავე დროს სტუდენტთა უნივერსიტეტის გარეთ პროექტებში მხარდაჭერი, უნივერსიტეტის გარე იმიტირებულ პროცესებსა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ნაკლებობა. ამავე დროს სასურველია უსდ-ს მიერ მოხდეს საჯარო ლექციების, სიმპოზიუმების, სემინარების მხადაჭერა სტუდენტებისა და პერსონსალისათვის გამოცდილების და ცოდნის გაზიარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o 2020 წლის 03 ივნისის უსდ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული პროგრამის ბიუჯეტი;

o გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები: • პროგრამის განხორციელების მოქნილობის გაზრდისათვის და ავტონომიურობის გაზრდისთვის აუცილებელია მოხდეს პროგრამის ბიუჯეტის დეცენტრალიზება. • პროგრამის განხორციელებაში კვალიფიციური კადრებისა და დარგის სპეციალისტების მოწვევისა და შენარჩენულების მიზნით აუცილებელია გადაიხედოს მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება. • გაიზარდოს სამეცნიერო და კვლევითი, ასევე საგანამანათლებლო და პროფესიულ პროექტებში (საერთაშორისო და ეროვნული იმიტირებულ პროცესები, სიმპოზიუმები, საჯარო ლექციები) პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გაიზარდოს და ხელმისაწვდომი გახდეს უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტთა და პერსონალის აქტივობის მხარდაჭერა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მითითებით შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მუდმივად ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების ანალიზი. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ სტუდენტები და პერსონალი, პროგრამის კულიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ დამსაქმებლები. გასაუბრების შედეგად სტუდენტთა ჩართულობა პროცესის განვითარებისა და პროგრამის შემუშავებაში ვერ დადასტურდა, ამავე დროს დამსაქმებლების დიდმა ნაწილში ვერ გაიხსენა კურიკულუმის შემუშავების პროცესში მათი მონაწილეობის შესახებ. უსდ-ს მითითებით მუდმივად ხდება სასწავლო პროცესების მონიტორინგი და შედეგების ანალიზი. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და მათი ინტერვიურება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სალექციო კურსის დაწყების დროს არაერთხელ იქნა მოთხოვნილი ლექტორის შეცვლა, მათ შორის არასასურველი და რთული მასალის გამო, რომელიც დაკმაყოფილდა უსდ-ს მიერ. საბაკალავრო სწავლების პროცესში არცთუ იშვიათად ცდებოდა ლექცია აღდგენისა და დამატებითი ლექციის ჩატარების გარეშე. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფა და მონიტორინგი

აუცილებელია მოხდეს უსდ-ს წარმომადგენელების მიერ.

უსდ-ში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია მოხდეს ლექციაზე დასწრება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა სალექციო კურსის გაძღოლა ხორციელედება ასისტენტების მიერ.

უსდ- ს თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ შემუშავდა სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის 18 ივლისის დებულების შესაბამისად გათვალისწინებულია, სამეცნიერო ღონისძიებებზე მონაწილეობის, სამეცნიერო პუბლიკაციების მაღალ-რეინგულ გამოცემებში გამოქვეყნების, სამეცნიერო გრანტებისა მიღების წესი. ამავე დროს უსდ-ს მიერ ხორციელდება ამავე აქტივობის აღრიცხვა და ანალიზი. თუმცა წარმოდგენილი მასალებით საკმაოდ მწირია პერსონალის სამეცნიერო პროექტებში, მაღალ-რეიტინგულ გამოცემებსა და სამეცნიერო გრანტის მიღების რიცხოვნობა. შესაბამისად, მისი ანალიზის შედეგად სამეცნიერო მუშაოების ხარისხის შეფასება თითქმის ვერ ხორციელდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o თვითშეფასების დოკუმენტი;
- o ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიეროკვლევითი მუშაობის შეფასების წესის“ შესახებ;
- o ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ;
- o ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- o ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ;

o გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები:

- გაცდენლი სალექციოს საათების შემდგომ სავალდებულოა მოხდეს მისი აღდგენა სტუდენტებისათვის მისაღებ დროსა და პირობებში;
- სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია მოხდეს ლექციებზე დასწრება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა სალექციო საათების ჩატარება

ხორციელდება ასისტენტის მიერ;

• მუდმივად ხდებოდეს პერსონალისა პროფესიული, სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო აქტივობის კონტროლი და ანალიზი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის განვითარებასა და კულიკულიმების შედგენის პროცესში გაძლიერდეს სტუდენტთა ჩართულობა.

აუცილებელია გაძლიერდეს და მუდმივ ზედამხედველობას ექვემდებარებოდეს პერსონალის მიერ სალექციო და სასემინარო საათების ჩატარება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს განცხადებით, გარე შეფასება ხორციელდება დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და პროფილური არასამთავრობო ორგანიზაციათა შეფასების შედეგად. უსდ-ს მიერ გათვალისწინებული იქნა მათ მიერ წარმოდგენილი რეკონდაციები და პროგრამას დაემატა ისეთი საგნები, როგორიცაა

სამშენებლო სამართალი, კულტურის ძეგლთა დაცვის სამართალი, სააღსრულებო სამართალი, შესყიდვების სამართალი. ამავე დროს საგადასახადო სამართალი გახდა სავალდებულო საგანი. ამავე დროს ამ კურსის ხელმძღვანელებად მოწვეულნი არიან დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტები. პროგრამის გამდიდრება პრაქტიკული საგნებით უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა აუცილებელია შემუშავდეს აღნიშნული საგნებისათვის შესაბამისი ლიტერატურა. უსდ-ს მითითებით მუდმივად ხდება პროფესიაში შესვლისათვის აუცილებელი სასერთიფიკაციო გამოცდების შედეგების ანალიზი. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, ბოლო 5 წლის განმალობაში 249 კურსთამთავრებულიდან, გამოცდაზე გავიდა 152 კურსდამთავრებული, თუმცა გამოცდა წარმატებით ჩააბარა 71 პირმა (დაახ. 47%). აღნიშნული საკმაოდ არასახარბიელო მაჩვენებელი თავად უთითებს პროგრამის გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ. თუმცა მისი შედეგების განალიზება და პროგრამის არსებითი ცვლილება ამ მაჩვენებლის გაზრდის მიზნით არ მომხდარა. პროგრამა, გარე ხარისხის შეფასების მიზნით ასევე იყენებს აკრედიტაციის დოკუმენტს და უნივერსიტეტის მიერ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები ყოველწლიურად ისახება თვითშეფასების წლიურ ანგარიშში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: გაძლიერდეს პროგრამის გარე შეფასება დარგის ექსპერტის მიერ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში; მოხდეს საერთიფიკაციო გამოცდის შედეგების ანალიზი და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით წარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები. სამართლის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის მიზნით ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარის ფორმა სტუდენტებისთვის, რომლის მიხედვითაც ხდება სტუდენტების გამოკითხვა. გამოკითვის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე მოწვეული ლექტორები. პროგრამის მონიტორინგი მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას პროგრამის განხორციელების პროცესის შეფასებასთან ერთად. უნივერსიტეტს აქვს კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და

წინადადებების გადამუშავებისსა და ანალიზის საფუძველზე ხდება პროგამის გაუმჯობესება და მოდიფიცირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუირება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე]

ვახტანგ ჟვანია

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი]

დემეტრე ეგნატაშვილი



ნინო ლიპარტია

ილია წიკლაური